ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის სხდომის
ოქმი N5

23.06.2022
სხდომის ჩატარების ადგილი:
ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი
თვითმმართველობის შენობა.
რუსთაველის გამზირი N3

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის სხდომა ჩატარდა თვითმმართველობის შენობაში არსებულ სხდომათა დარბაზში, სხდომას ხელმძღვანელობდა კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ბექა ქებულაძე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

მერაბ ჭოხონელიძე, მარეხი ნიჟარაძე, მანანა ჩიხლაძე, ხათუნა არველაძე, კახა გაბუნია, ანა კოხრეიძე.

ონლაინ ჩაერთო: თეა ჟუღელი, ბესიკ ხამაშურიძე.

სულ 9 წევრი.

არ ესწრებოდა: ქეთევან ხურციძე, თედო მესხი,ნინო ჩიკვაშვილი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გია ბასილაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი თეონა მელქაძე, ქალაქ ქუთაისის ა(ა)იპ ფოლკლორის ცენტრის - სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის დირექტორი ზეინაბ ბურჯანაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ი.ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი გრიგოლ ქობალიანი.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა ბექა ქებულაძემ და წარმოადგინა დღის წესრიგი:

1. ა. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ფოლკლორის ცენტრის-სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების თაობაზე, გაწეული სამუშაოს ანგარიშის მოსმენა.
   ბ. მიმდინარე საკითხები.
2. ა. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ი. ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების თაობაზე, გაწეული სამუშაოს ანგარიშის მოსმენა. ბ. მიმდინარე საკითხები.

დღის წესრიგთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა, ღია კენჭისყრით ერთხმად დაადგინეს:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მოისმინეს დღის წესრიგით გათვალისწინებული I საკითხი:

ა. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ფოლკლორის ცენტრის- სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების თაობაზე, გაწეული სამუშაოს ანგარიშის მოსმენა.

ბ. მიმდინარე საკითხები.

წარმოდგენილ საკითხებზე ზოგადი მიმოხილვა გააკეთა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბექა ქებულაძემ:

,,მოგესალმებით ქალბატონებო და ბატონებო. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის სხდომას გახსნილად ვაცხადებ. თქვენის ნებართვით წარმოგიდგენთ მიმდინარე სხდომის დღის წესრიგს: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ფოლკლორის ცენტრის- სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების თაობაზე, გაწეული სამუშაოს ანგარიშის მოსმენა- მომხსენებელი ქალბატონი ზეინაბ ბურჯანაძე და ასევე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ფოლკლორის ცენტრის- სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების თაობაზე, გაწეული სამუშაოს ანგარიშის მოსმენა-მომხსენებელი ბატონი გრიგოლ ქობალიანი - მომხსენებელი ბატონი გრიგოლ ქობალიანი.

ჩვენი დღის წესრიგის შედგენის საფუძველი არის ის გეგმა-გრაფიკი, რომლის მიხედვითაც უნდა ვიმუშაოთ მიმდინარე წლის განმავლობაში. პირველ საკითხთან დაკავშირებით, ვთხოვთ ქალბატონ ზეინაბ ბურჯანაძეს".

დღის წესრიგით გათვალისწინებული I საკითხი გაგვაცნო, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ფოლკლორის ცენტრის- სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის დირექტორმა, ქალბატონმა ზეინაბ ბურჯანაძემ: ,,მოგესალმებით ქალბატონებო და ბატონებო, მადლობა მოწვევისთვის, წარმოგიდგენთ ანგარიშს მიმდინარე წლის იანვრიდან ივნისამდე პერიოდის, ჩვენს მიერ ჩატარებული ღონისძიებების შესახებ. ა(ა)იპ ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ფოლკლორის ცენტრის -სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ფუნქციაა ფოლკლორის განვითარების ხელშეწყობა, ხალხური შემოქმედების შენარჩუნება და განვითარება, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის მოძიება და პოპულარიზაცია.

ბოლო პერიოდის წარმატებულ პროექტად უნდა ჩაითვალოს მემორანდუმის გაფორმება ა(ა)იპ ,,იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციასა და ა(ა)იპ ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ფოლკლორის ცენტრი სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს შორის, რომელსაც დღევანდელობაშიც და მომავალში განვითარების დიდი პერსპექტივა აქვს. ცენტრის მიზანია უმაღლესი სტანდარტების მიღწევა და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, ამ თვალსაზრისით გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი მუსიკალურ-

გამაძლიერებელი აპარატურის და აქსესუარების შესყიდვის მიზნით, ჯამური ღირებულება- 35500 ლარი.

ანსამბლი სისტემატიურად მონაწილეობს ქალაქის კულტურულ ღონისძიებებში. იანვრიდან დღემდე ჩატარებული გვაქვს 9 სოლო კონცერტი.

აზრი გამოთქვეს:

ირაკლი შენგელია :,, მადლობა ქალბატონო ზეინაბ, ზედმეტია შეფასება იმისა, თუ რაოდენ დიდ საქმეს აკეთებთ. თითოეული თქვენი ინიციატივა აუცილებლად იქნება მხარდაჭერილი ნებისმიერი ფორმით".

მარეხი ნიჟარაძე: ,,მადლობა ქალბატონო ზეინაბ, ეს არის თქვენი სწორი მენეჯმენტის შედეგი, რაც დღეს ამ ანსამბლს, ქუთაისის სიამაყეს აქვს".

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა ბექა ქებულაძემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

კომისიამ ღია კენჭისყრით, ერთხმად დაადგინა:

1. ა. მოწონებულ და დადებითად შეფასებულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ფოლკლორის ცენტრის-სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების თაობაზე, გაწეული სამუშაოს ანგარიშის მოსმენა.

   ბ. მიმდინარე საკითხები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-2 საკითხი, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ი. ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა, ბატონმა გრიგოლ ქობალიანმა. ,,მოგესალმებით ბატონებო და ქალბატონებო. მოგახსენებთ,მ რომ ბიბლიოთეკა მ/წლის იანვრიდან დღემდე მოემსახურა 3183 მკითხველს, გაიცა 27165 ბეჭდური ერთეული, ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა 15381.ბიბლიოთეკის რესტავრატორების მიერ რესტავრაცია ჩაუტარდა 125 ცალ წიგნს, გამოცხადებულია ტენდერი 626 ცალი წიგნის შესაძენად, თანხით 11600 ლარი.საჯარო ბიბლიოთეკა 2015 წლის ივლისიდან ჩაერთო საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ჯეოსელის ერთობლივ პროექტში ,,ციფრული ფოტომატიანე". პროექტის მიზანია, გააცოცხლოს იმერეთის რეგიონისა და ჩვენი ქალაქის ისტორია, აღმოაჩინოს და შეაგროვოს სხვადასხვა ოჯახში დაცული, საზოგადოებისთვის აქამდე უცნობი ვერსიები. სურვილი მაქვს , ბიბლიოთეკაში იყოს დედათა და ბავშვთა ოთახი, სტუდენტი დედებისთვის,რომელიც იქნება ბავშვისთვის მოწყობილი. გვაქვს ასევე ფეისბუქ გვერდი და იქ არის რუბრიკა ,,ბარათები ბიბლიოთეკიდან", სადაც თავად მიმყავს რუბრიკა.

აზრი გამოთქვეს:

მერაბ ჭოხონელიძე: ,,როგორ აკომპლექტებთ კადრებს?"

გრიგოლ ქობალიანი:,, კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელს აქვს საბიბლიოთეკო საქმე, წელიწად გამოშვების შემდეგ ასევე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს მიღება და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს ფილიალი ასევე ქუთაისში".

ანაკოხრეიძე: ,,გვინდა წვლილი შევიტანოთ , როცა იქნება საშუალება, მზად ვარ ჩავერთო თქვენს აქტივობებში".

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა ბექა ქებულაძემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

კომისიამ ღია კენჭისყრით, ერთხმად დაადგინა:

1. ა. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ი. ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების თაობაზე,გაწეული სამუშაოს ანგარიშის მოსმენა.
   ბ.მიმდინარე საკითხები.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და
სპორტის კომისიის თავმჯდომარე
ბექა ქებულაძე